

უკანასკნელი განახლება: 18 ივლისი, 2008, 15:00 • თბილისი

საერთაშორისო საზოგადოება გმობს რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის თავხედურ დარღვევას; მშვიდობისმყოფელთა როლი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას

ნატო: "ამგვარი ქმედებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელისა და მოლაპარაკებების ხელშემწყობის როლს"; რუსეთის სამხედრო წვრთნები საქართველოს საზღვრის სიახლოვეს მორიგ საფრთხეს წარმოშობს

ნატომ, ეუთომ და სხვებმა დაგმეს რუსეთის მიერ გასულ კვირას საქართველოს საჰაერო სივრცის წინასწარგანზრახული დარღვევის ფაქტი, როგორც ომის ზღვარზე ბალანსირების პროვოკაციული ქმედება, რომელმაც კვლავ დაძაბა ვითარება სამხრეთ კავკასიაში. 16 ივლისს მოსკოვმა განაგრძო თავისი აგრესიული ქმედებები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მასშტაბური სამხედრო წვრთნების ჩატარებით, რომელიც თავად რუსეთმა "მშვიდობისაკენ იძულების ოპერაციად" შერაცხა.

ამასობაში, 16 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის საპასუხოდ 21 ივლისს შეიკრიბებოდა. 14 აპრილს, ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე დაგმობილი იქნა რუსეთის სამხედრო მოიერიშეების შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე.

ნატოს გენერალური მდივნის სხეფერის წარმომადგენელმა 16 ივლისს გაავრცელა განცხადება, რომ იგი "შეშფოთებულია რუსეთის განცხადებით, რომ მისმა სამხედრო თვითმფრინავებმა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევით შეგნებულად გადაუფრინეს საქართველოს ტერიტორიას". სხეფერმა დაამატა: "ამგვარი ქმედებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელისა და მოლაპარაკებების ხელშემწყობის როლს".

ნატოს წუხილს ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტიც გამოეხმაურა. "გამოვთქვამთ შეშფოთებას რუსეთის განცხადების გამო, რომ მისმა სამხედრო თვითმფრინავმა შეგნებულად დაარღვიეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები", ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ასევე ხაზს უსვამს, რომ რუსეთის ქმედება საქართველოში "კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელისა და მოლაპარაკებების ხელშემწყობის როლს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში".

10 ივლისს რუსეთმა აღიარა, რომ წინა დღეს მისმა საჰაერო გამანადგურებლებმა წინასწარგანზრახვით დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე, იმისათვის რომ "გაეგრძელებინათ ცხელი თავები თბილისში". ოთხი რუსული საჰაერო გამანადგურებელი 40 წუთის მანძილზე იმყოფებოდა საქართველოს საჰაერო სივრცეში. რუსეთი აქამდე როგორც წესი უარყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის ფაქტებს, მიუხედავად რადარებისა და თვითმხილველების მიერ დაფიქსირებული არაერთი ასეთი ფაქტისა. ასე, მაგალითად, 20 აპრილს რუსულმა "მიგ-მა" საქართველოს საჰაერო სივრცეში ჩამოაგდო საქართველოს შს-ს უპილოტო საფრენი აპარატი და ეს ფაქტი დაადასტურეს გაერომ და ეუთო-მ. აგრეთვე, გასულ აგვისტოს, რუსულმა "მიგ-მა" საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოაგდო ჭურვი, რომელიც არ აფეთქდა; საერთაშორისო ექსპერტების ორმა დამოუკიდებელმა გამოძიებამ, დაადასტურა რუსეთის პასუხისმგებლობა ამ ინციდენტზე.

ამჯერად რუსეთმა აღიარა გასულ კვირას საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი, პირველად უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე.

ეს ინციდენტი დაემთხვა საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ვიზიტს. ეს ფაქტი ხაზს უსვამს მოსკოვის აშკარა მცდელობას გამოხატოს თავისი უკმაყოფილება საქართველოს მიერ არჩეული დემოკრატიული და პროდსავლური კურსის მიმართ. სულ უფრო მზარდი აგრესიული ქმედებების სერიის ამ უკანასკნელმა ფაქტმა საერთაშორისო სტატიების მთელი ნაკადი გამოიწვია.

16 ივლისის გამოშვებაში გაზეთი Financial Times თავის სარედაქციო სტატიაში სათაურით „წინ აღვუდგეთ რუსეთს საქართველოს დასაცავად“ წერს, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევით, რუსეთი დასავლეთს უგზავნის „მალთან ცხად გზავნილს: შორს ჩემი მოედნიდან“. Financial Times განაგრძობს: „ეს არის გზავნილი, რომელსაც აშშ და ევროკავშირი არ უნდა დაეთანხმონ. რუსეთს არ აინტერესებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც ასეთი... მოსკოვი ცდილობს შეაჩეროს საქართველოს ჩამოყალიბება პრო-დასავლურ სახელმწიფოდ - და ბლოკავს მის მისწრაფებას ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. დასავლეთი უნდა იყოს მზად დაეხმაროს თბილისს მის მიერ არჩეული კურსის გატარებაში“.

16 ივლისს, კლინტონის ყოფილი ადმინისტრაციის მაღალმა თანამდებობის პირმა რონ ასმუსმა Washington Post - ში დაწერა, რომ საქართველოში „სასწორზე დგას მნიშვნელოვანი პრინციპები, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ჩათვლით“. „რუსეთი ცდილობს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ხელახლა განსაზღვროს ცივი ომის შემდგომი პერიოდის ევროპული უსაფრთხოების წესები,“ განაცხადა მან. „თუ ჩვენ არ ვეცდებით შევაჩეროთ რუსეთი, ამ რეგიონის ქვეყნები - აზერბაიჯანიდან დაწყებული ცენტრალური აზიის ენერგომწარმოებლებით დამთავრებული - შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ“.

ამასობაში, 15 ივლისს, რუსეთმა დაიწყო მასშტაბური სამხედრო წვრთნები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის უშუალო სიახლოვეს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ეს წვრთნები, რომლებიც 8000 ჯარისკაცს და 700 ერთეულ სამხედრო ტექნიკას მოიცავს, მიზნად ისახავს „სპეციალური სამშვიდობო ოპერაციისთვის მზადებას“ საქართველოში - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში.

ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების სარდალმა ს. მაკაროვმა განაცხადა, რომ მისი შენაერთები „მზად არიან დახმარება გაუწიონ მშვიდობიმსყოფელებს“. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მშვიდობიმსყოფელების გაეროსა და ეუთოს მიერ დამტკიცებულ მანდატში არსად არ არის გათვალისწინებული გარეშე სამხედრო ძალის „დხმარება“. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსი სამხედრო ხელმძღვანელის ეს განცხადება, წვრთნებთან ერთად, შეაფასა როგორც პირდაპირი მუქარა და აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

დამატებითი ინფორმაცია

რუსეთის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ (10 ივლისი) http://www.president.gov.ge/PDF/GU_E_2008-07-10_121577330033148.pdf

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების სრული ტექსტი
http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=36&info_id=7062

Financial Times: სარედაქციო წერილი, „წინ აღვუდგეთ რუსეთს საქართველოს დასაცავად“ (16 ივლისი)

http://www.ft.com/cms/s/0/a4ad5d08-5294-11dd-9ba7-000077b07658.html?nclick_check=1

Washington Post: „ომი, რომელიც დასავლეთმა უნდა შეაჩეროს“ (16 ივლისი)

<http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2008/07/14/AR2008071401845.html>